აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საქვეუწყებო დაწესებულება
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 461
28/05/2024

461-07-2-202405281026

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს**
**ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს**

ბატონო ჯაბა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 24 მაისის N01-01-10/4211 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2024 წლის 23 მაისის N08/295 წერილით წარმოდგენილი, თანდართული გეოსაინფორმაციო პაკეტის მონაცემების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშახრეშის) მოსაპოვებელი ტერიტორია მდებარეობს „წონიარისი-კანტაურა-ტიბეთას“ საავტომობილო ხიდიდან 520-530 მეტრის, ხოლო „წონიარისი-აბუქეთა-ნაომვალის“ საავტომობილო გზიდან 80-90 მეტრის დაშორებით. შესაბამისად, დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი, ქედის მუნიციპალიტეტის, წონიარისში, საავტომობილო გზის და ხიდის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2024 წლის 23 მაისის N08/295 წერილით წარმოდგენილი, გეოსაინფორმაციო პაკეტის მოთხოვნების მკაცრი დაცვითა და კონტროლით, ისე, რომ წიაღის მოპოვებითი სამუშაოების ჩატარების შედეგად საფრთხე არ შეექმნება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას და საავტომობილო ხიდს.

**ამასთანავე, საავტომობილო გზაზე, სადაც განხორციელდება მოპოვებული წიაღისეულის ტრანსპორტირება, ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ა/რ კანონით გათვალისწინებულ ნორმას და სამუშაოების წარმოებისას საავტომობილო გზის სავალი ნაწილის დაზიანების შემთხვევაში, მომპოვებელმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს გზის შეკეთება, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ უნდა მოახდინოს გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.**

პატივისცემით,

6010 ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72-ა ტელ/ფაქსი: 0422 24-73-66;

მამუკა თურმანიძე

დეპარტამენტის უფროსი

https://edocument.ge/AdjaraGov/public461-07-2-202405281026